]

საქართველო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1387
15/05/2019

1387-01-4-201905151752

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების /საზოგადოებრივი საპირფარეშო/
იჯარის ფორმით სარგებლობაში გაცემისათვის
ელექტრონული აუქციონის გამოცხადებისა და
გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „დ.ა“ ქვეპუნქტების, 118-ე მუხლის პირველი პუნქტის და 119-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის, ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის N65 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის N115 განკარგულებისა და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N12 ხელშეკრულების შესაბამისად წარმოდგენილი /2018 წლის 06 აგვისტოს N008/2-1დ.რ.2018 წლის 03 აპრილის N004/2-3დ.რ./ დასკვნებისსაფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების /საზოგადოებრივი საპირფარეშო/ დანართი №1-ის შესაბამისად, იჯარის ფორმით სარგებლობაში გაცემისათვის. /დანართი №1 ბრძანებას თან ერთვის/

2. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების იჯარის ფორმით სარგებლობაში გაცემისათვის ელექტრონული აუქციონის გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია. /დანართი №2 ბრძანებას თან ერთვის/

3. ელექტრონული აუქციონის პროცესი უზრუნველყოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურეობის სააგენტომ.

4. ბრძანება განთავსდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდზე www.eauction.ge.

5. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ იუზა უგულავამ.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა №11/.

გიორგი ჭილვარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი